სამშაბათი, 4 სექტემბერი 1907 წ. — 84 — წელიწადი პირველი — № 193

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ორი 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.
[illegible] «ისარი»-ს რედაქციისა და კანტორის გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე
რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. [illegible] მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.
თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

გორის ქალაქის თვითმართველობა ამით აუწყებს გორის საზოგადოებას, რომ ტრაგიკულად გარდაცვლილის
თ. ილია გრიგოლ.ს ძის
ჭავჭავაძის
სულის მოსახსენებლად გორის სობორში გარდახდილი იქნება პანაშვიდი ოთხშაბათს 5 სექტემბერს [illegible], 9 სექტემბერს. დასაწყისი პანაშვიდისა ნაშუადღევის 1 საათზე. (2—293—1)

წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა აუწყებს საზოგადოების წევრებს, რომ ოთხშაბათს, 5-ს ამ თვის ნაშუადღევის 2 საათზე, სიონის ტაძარში გადახდილი იქნება პანაშვიდი საზოგადოების თავმჯდომარის და საპატიო წევრის
ილია ჭავჭავაძის
სულის მოსახსენებლად. გამგეობა სთხოვს წევრებს, დაესწრონ პანაშვიდს. (2—1)

გიორგი ნიკოლოზის ძე საღარაძე და იაკობ სიმონის ძე [illegible] გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ [illegible] გარდაცვალებას [illegible]
მაშოხასა
მიცვალებულის გვამის ბაკურიანიდან ტფილისში მოსვენება [illegible] ოთხშაბათს, ხუთ სექტემბერს. (2—5.—1)

ქნ. ბაბალე სპირიდონის ასული და თავადი გუგული სერგის ძე წერეთელი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი პირველი ქმრის და მეორის მამის
სერგი გიორგის ძის წერეთლის
სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება სამშაბათს, 4 ენკენისთვეს, 10 საათზე, სიონის ეკლესიაში. (1—296—1)

3 ენკენისთვიდან, მუშკის ბიბლიოთეკის სადგომში (ალექსანდრ. ბაღი) გაიხსნება
## უმაღლესი კურსები
## კავკასიის შესასწავლად.
ადგილობრივი მასწავლებლები და სხვა ქალაქებიდან ჩამოსული პროფესსორები წაიკითხავენ ლექციებს ყოველ საღამოს, 6—9 საათზე.
პროგრამმებს უფასოდ ურიგებენ კურსების კანტორაში (იმავ სახლში), ყოველ საღამოს, 5—7 საათზე.
ფასი: 1 მ. 50 კ. ნახევარ წლის, ამის გარდა 15 კ. ადგილობრივ ლექტორის ლექციაზე და 30 კ. უცხო ქალაქიდან ჩამოსულ პროფესსორის ლექციაზე. შემთხვევითი მსმენელნი ყოველ ლექციაზე იხდიან 20 კ. პირველშემთხვევაში და 40 კ. მეორეში. (6—265—6)

კახური ღვინით ვაჭრობა
## „ზირისა“
ახლად მივიღეთ დიდ ძ[illegible]ი საუკეთესო
ფასები ზომიერია **კახური ღვინოები** ფასები ზომიერია
ნიკოლოზის და გეიდენოვის კუთხე, № 17.
ტფილისში. (50—262—6)

## სამკურნალო
**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**
ფასი რჩევისთვის 50 კაპ.
**განჯის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.**
ტელეფონი № 481.
ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.
**რუდინკო**—შინ.ს ნეულ. კვირა 3—4 ს.
**ი. ჩუდნოვსკი**—ნერვ., სულ., ჰიპნოზი. ყოველდღე. 4—5 ს.
**რადელ**—კანისა, ვენ., სიფ. ყოველდ. 4—5 ს.
**იანჩევსკი**—ყურ. ყელ. და ცხვ. ყოველ დღე 2—3 ს.
**ვნუკოვი**—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.
**ნოვიცკი**—ქალ., ბავშვ. ყოველ 1—2.
**აზპიზოვი.**—ყურ. ყელ. ცხვ. $12^1/_2$—$1^1/_2$ ს. სამშაბ. და პარ. გარდა.
**უბლამშქართვი**—ქალისა და ბავშვისა, ყოველ დღე, 1—2 ს.
**გორბილევიჩი.** შინაგ. ყოველ დღე, 1—2 ს.
**თეთრაძე**—კან. და ვენერ. ყოველდღე 1—3 ს.
**აზპიზოვი**—ყურისა, ყელისა, ცხვირისა. 1—2 ს. ყოველ ოთხშ. და პარასკ.
**ბოჟოვსკი**—შინ. შთაგონ. ყოველდღე 4—5 ს.
**მონზე**—ბავშვ. სამშ., ხუთშ., შაბ. 4—5 ს.
**ექიმი ქალი იოზელიანი:**—ქალ. ორშ., ოთხ., პარ. და კვირ, 11—12 ს.
**პავლოვსკი**—ქირურგ. ყოველ დღე 12—1 ს.
**ნევშთროვა**—კბილისა, ყოველდღე 11—5 ს. კვირ. 11—2 ს.
**გოროზბოვი**—მასსაჟი, ყოველ-დღე 11—4 ს.
**რიდელი**—სიფილ., კან., ვენ., ყოველ. 4—5 საათ.
**ბივარსკი** კლინიკური ანალიზი.
**ჩუდნოვსკი**ნერ., სულ., გიპოზი ყოველდღე 4—5 ს.
კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—30)

ექიმი
**ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—170)

ექიმი
**ვ. ს. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—$11^1/_2$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**ზანისა და ვენერიული.** ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს დილით 11—12 ს. საღამოობით 6—8. ხუთშაბათსა და შაბათს დილით 11—12 ს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

**ელექტროთერაპიული**
## კაბინეთი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ნერვებით ავადმყოფთ დილის 12—1 ს. საღ. 6—7 ს. ვერაზე ყორღანოვის ქუჩა, 20. ტელ. 791. (25—6.—23)

ქ. ქუთაისში
**ექიმი ი. ი. ჩარექოვი**
იღებს **განსაკუთრებით ვენერიულ, სიფილისიან და კანით ავადმყოფებს.** სწამლობს მუწუკებს, ძირმაგრებს, ბუბონებს და სხ. უაპერაციოდ **პროფ. ბიერის** მეტოდი. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (25—ფ.—4)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (68)

**ქუთაისში**
კბილის ექიმი
**ე. დ. ნასარიძე**
იღებს ავადმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (25—288—2)

თვალის ექიმი
**ზ. მ. ცხვედაძე**
დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—6 ს. ვერა, ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—289—2)

ექიმი
**ს. ხეჩინოვი**
უკვე დაბრუნდა აგარაკიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. (3—კვ.—2)

## სკოლა და პანსიონი
**მ. ალ. ბარტოლდისა**
ელისაბედის ქ. № 59, საკუთარი სახლი.
მიიღებიან მოსწავლენი ყველა საშუალო სასწავლებელსა და კადეტის კორპუსში მოსამზადებლად. (6—285—3)

## სკოლა
დიაჩკოვისა და ჯაფარიძისა.
ამზადებს ბავშვებს ყველა სასწავლებელში, ასწავლიან უცხო ენებს, ქართულს და რუსულს. მოსწავლეებს მიიღებენ პირველ სექტემბრიდან. აქვე იღებენ მოსწავლეებს უმცროს განყოფილებისას საცხოვრებლად.
ადრესი: მიხაილოვის ქუჩა, № 121, ეზოში. (8—251—6)

**ქსნის** მხანაგობის ჩვეულებრივი კრება დანიშნულია კვირას, 9 ენკენისთვეს, დილის 10 საათზედ ვეტცელის სასტუმროში. გამგეობა წარადგენს ანგარიშს და სარევიზიო კომისიის ოქმებს გადასასინჯათ. (1—294—1)

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ
**ივ. გომელაურის**-მიერ შედგენილი სახელმძღვანელო
**სკოლებში შესასწავლი**
## ქართველი მწერლები
**მათი სურათებით და ბიოგრაფიებით**
**წიგნი პირველი, მეორე გამოცემა,** შევსებული და შესწორებული, შეიცავს 416 გვ. და **ღირს ყდით თოთხმეტი შაური.** მაღაზიებს დაეთმობა 20%.
ამ წიგნის საწყობი იმყოფება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგად.“ წიგნის მაღაზიაში. (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა ქარვასლა).
Тифлисъ. Общества распространенія грамотности среди грузинскаго населенія. (10—271—4)

## ჰკისრულობ
ხელნაწერების შესწორებასა და თარგმნას: რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად. იკითხეთ „ისრის“ რედაქციაში.

**3 ენკენისთვიდან ტფილისში გამოდის**
ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
## „ჩვენი გზა“
გაზეთი ღირება: ერთის წლით 7 მან., ნახევარ წლით 4 მან., ერთი თვით ქალაქ გარედ 90 კ.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „Чвени Гза“. (3—უ—2)

**ქუთაისი**
ქალაქის თეატრი
შაბათს, 8 ენკენისთვეს, 1907 წელს **ერთად-ერთი გასტროლი ნ. პ. ჩხეიძისა.**
წარმოდგენილი იქნება: I.
**ბ რ ჭ ყ ა ლ ე ბ ი**
დრამა 3 მ. პ. ერვიესი თარგ. ი. მაჭავარიანისა.
II
ახალი პიესა
## მხატვართა შორის
დრამატ. ეტიუდი 1 მოქმ. ა. გიდონის. თარგ. აკ. ფალავასი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. (3—6.—2)

ცნობილი
## ქალთა სამკერვალო
„SALON MODES“
სოლოლაკში, სერგეევის ქუჩაზე № 1—9 **განაგრძობს თავის მოქმედებას. ღებულობს შესაკერად ყოველ ნაირ ქალისტანისამოსს,** იყვანს მოწაფეებს და ასწავლის ჭრა-კერვას და ქარგვას.
სამკერვალო შესდგება იმავე ოსტატებისაგან.
გამგედ სამკერვალოისა არიან:
უფროსი ოსტატი ქალ. ეკატერინე ვაშალომიძის ასული და ქალბ. რაისო თოხაძისა. (25—6.—5)

მიწათ-მოწყობის და მიწათ-მოქმედების
**მთავარ გამგეობას**
**სურს იყიდოს კახეთში**
## მიწის ნაჭერი,
ზომით ათი დესეტინა, სადაც უნდა გაშენდეს სანერგე ამერიკულ ვაზისა. სასურველია გასასყიდი მიწა იყოს შოსსეს მახლობლად, ურიათუბნისა და ჩაკურციხის შუა.
პასუხი, პირობების აღნიშვნით, უნდა გაგზავნოს ამ ადრესით: И. Д. Старшаго Агронома Доментьеву. Тифлисъ, Кодмарская № 13. (3—272—3)

**ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის გამგე** აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები პირველ მოსამზადებელ განყოფილებაში, სადაც მიიღებიან ყმაწვილები შვიდიდან ცხრა წლამდის, დაიწყება 10 სექტემბრიდან; ამავე რიცხვიდან დაიწყობა ხელმეორე გამოცდა გიმნაზიის მოწაფეებისა. (8—6.—6)

## სკოლა და პანსიონი
ერისთავი-ზუბალევსკისა
(ველიკოკნიაჟესკაია № 54)
იღებს პანსიონერებად, ნახევარ პანსიონერებად და გარედან მოსიარულეთაც.
ამზადებს საშუალო სასწავლებლების უმცროს კლასებისათვის. ასწავლიან ახალ ენებსა და მუსიკას.
სწავლა დაიწყება 3 სექტემბერს. (3—278—2)

## ილიას სიკვდილის გამო

ბოდიშს ვიხდი დიდებულ ცხედრის წინაშე, რომ ორიოდ სიტყვით, ასე ზერელად შევეხები იმის მოღვაწეობას, მაგრამ ვრცელ წერილებს დამშვიდებული გული უნდა, ეხლა-კი, ჯერ გაუციებელ გვამის წინაშე, ორიოდ სიტყვის მეტს რას იტყვი? არც ერთ თავის შვილის სიკვდილი არ მოჰხვედრია საქართველოს ისე ლახვარსავით გულში, როგორც ილიას სიკვდილი, არც ერთი მოღვაწე არ უგლოვია ასე მწარედ, როგორც ილია.

ვინ იყო ილია ჩვენთვის? იგი იყო ჩვენი ენის ამომდგმელი, იგი იყო პირველი, ვინც ქართული ლიტერატურა და ქართული საზოგადოება ევროპიულ გზაზედ დააყენა. ილია არის მშობელი და მამათ-მთავარი ყოველივე ჩვენის საზოგადოებრივ დაწესებულებისა. ლიტერატურაშიაც ილია ჩვენთვის იგივეა, რაც რუსებისათვის პუშკინი და გოგოლი. ილიას მოღვაწეობა ჩვენთვის არის ის ეტაპი, რომელსაც ვერ ასცდება ვერც ერთი მოღვაწე, ვერც ერთი მწერალი. ილიას მოღვაწეობის ხანა არის ის ხანა, როდესაც საქართველოს ერის თვითცნობიერებამ (არა მარტო ნაციონალურმა) უნდა დაიწყოს თავისი მატიანე. რათა ეს ცარიელ სიტყვად არ ჩამოგვართვან, საკმაოა მოვიგონოთ, რომ ილიამდის არავითარი საზოგადოებრივი მოძრაობა არა ყოფილა ჩვენში; მოვიგონოთ, რომ უპირველეს სოციალურ ბოროტებას, ბატონყმობას, იგი შეეხო თავის ძლიერის ხელით და ამით გვიანდერძა სოციალური საკითხის გადაწყვეტა, თუმცა თვითონ დროთა ვითარებას უკან ჩამორჩა. მოვიგონოთ ის თუ, რა იყო ქართული ლიტერატურა ილიამდის: ჯერ კიდევ სპარსული მოტივები ბატონობდნენ ამ ლიტერატურაში. არა თუ ალექსანდრე ჭავჭავაძემ, თვით ორბელიანებმაც, რომელთაც ქართულ ლიტერატურაში წმინდა ევროპიული რომანტიზმი გადმონერგეს („ჯვარი ვაზისა“, „იმედი“, „სადღეგრძელო“), ვერ დააღწიეს თავი სპარსულ შიქასტურ კილოებს („კინტოს სიმღერები“, „ნუ მასმევ ღვინოს“ და სხვა); მოვიგონოთ მომავალის მაძიებელი ნ. ბარათაშვილი, იდეალ-დაკარგული და სასოწარკვეთილი, და ნათლად დავინახავთ იმ უდიდეს შრომას, რომელიც გასწია აწ განსვენებულმა ილიამ. ილიამ თითქმის სრულებით განდევნა ლიტერატურიდან სპარსული მოტივები (თუ არ ჩავთვალეთ „გახსოვს ტურფავ“, რომელიც არც ისე ძლიერ მოგაგონებთ სპარსულ კილოს). თავის უკვდავ „განდეგილ“-ში ილიამ სამუდამოდ დაამარცხა მისტიციზმი და სთქვა, რომ ერთად-ერთი ნაყოფიერი მუშაობა არის მუშაობა აქ, მიწისთვის, ხალხისთვის. იგივე აზრი გამოსთქვა მან თავის ლექსში:

„მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო,
ვით ფრინველმა გარეგანმა“.

და საქმითაც შეასრულა მან თავისი სიტყვა. მიუხედავად იმისა, რომ რომანტიულ მიმართულების თხზულებებში მან იშვიათი ნიჭი გამოიჩინა („აჩრდილი“), რის გამოც ეს თხზულებები მარგალიტის თვალად დარჩებიან ქართულ ლიტერატურაში, ილიამ მაინც უარ ჰყო ძველი გზა და სრულიად ახალ გზას დაადგა. „კაცია ადამიანი“, „გლახის ნაამბობი“ და ბევრი სხვა სრულიად ახალ ხანას ჰქმნიან ქართულ ლიტერატურაში, ხანას რეალიზმისას. ლექსებშიაც ილია არ უმღერის მხოლოდ ღვინოს და სიყვარულს, როგორც წინად იყო. მან ახალი ელემენტი შეიტანა ლიტერატურაში: იგი უმღერის „ხმას მონობას ჯაჭვთ მტვრევისას“; იგი სჩივის „გუთნის დედის“ ბედს.

ვიმეორებ, რომ ილიამ ისეთი კვალი დააჩნია ჩვენს ლიტერატურას და ჩვენს ცხოვრებას, რომელსაც ვერ ასცდება ვერც ერთი საზოგადო მოღვაწე და ვერც ერთი პუბლიცისტი, ვერც ერთი ბელეტრისტი და ვერც ერთი მგოსანი. ამას უნდა დავძინოთ ის, რომ იშვიათია (თითქმის არც კია) ისეთი მოღვაწე, რომელიც ისეთი ყოველმხრივი ყოფილიყოს, როგორიც ილია.

ილია არის რეფორმატორი ჩვენის ცხოვრების ყოველის მხრისა, რაც უნდა აიღოთ. აი, ამ მხრივ იგი გაცილებით მაღლა უნდა დავაყენოთ ყველა სხვა მოღვაწეზე. ილია მეტია ჩვენთვის, ვიდრე რუსებისათვის პუშკინი, ან გოგოლი იყო, იმიტომ რომ ამათ მხოლოდ ლიტერატურის რეფორმა მოახდინეს. როგორც მო

გეხსენებათ, გოგოლი ძლიერ შორსაც იყო საზოგადოებრივ რეფორმატორობისაგან.

ველური უნდა იყოს ის კაცი, ის ქართველი, გონება დახშული და უსუსურ ბავშვის საფეხურზე მდგარი, სულ ერთია რა მიმართულებასაც უნდა ეკუთვნოდეს იგი, რომელიც არ დააფასებს ილია ჭავჭავაძის ღვაწლს და არ იცნობს მასში თავის ისტორიულ წინა მორბედს. ჩვენ რომ ილიას ღვაწლი ვერ დავაფასოთ, ეს იგივე იქნება, რაც იქნებოდა, რომ დაგვიწყებოდა სრულებით ვინა ვართ, რანი ვართ, რანი ვყოფილვართ. ისტორიული თვითცნობიერება პირველი ნიშანია ხალხის გონებრივ განვითარებისა და პირველი საჭიროებაა ყოველსავე პოლიტიკურ პარტიისათვის. ვერც პოლიტიკურს და ვერც სოციალურ საკითხს იგი საკმაოდ ვერ გაითვალისწინებს, თუ მან არ იცის თავისი ვინაობა, თუ არ იცის თავისი ჩამომავლობა, თუ არ იცნობს რა ნიადაგზე უხდება მას მუშაობა. როგორც ბავშვი ყველაზედ წინად თავის დედ-მამას იცნობს და ეს არის მისი გონების პირველი შრომა, ისე პარტიისათვის პირველი საჭიროება ის არის, რომ იცოდეს რა ნიადაგზე აღმოცენდა მისი მიმართულება, იცოდეს თავისი უახლოესი წარსული მაინც. დარწმუნებულნი ვართ, ქართველები იქამდი არ არიან გონება-დაბნეულნი და კულტურულად ჩამორჩენილნი, რომ ვერ დააფასონ ისეთი მოღვაწე, როგორც ილია ჭავჭავაძეა.

მარა, ყველამ ვიცით, რა დიდი გზა გაჰკაფა ცხოვრებაში დაუვიწყარმა ილიამ.

მერე ვინ არის მისი მკვლელი? აი, კითხვა, რომელსაც აძლევს თავის თავს და ქვეყანას ყოველი ქართველი. ვინ უნდა იყოს, თუ არ ვინმე ავაზაკი, ან გონება-დაბნეული უვიცი, იარაღი რაიმე ქვენა გრძნობისა. დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, **რომ არც ერთი პარტია ამას არ იზამდა. ამაში ეჭვის შეტანაც კი ცოდვაა.** ღრმად ნუ შევხედავთ საკითხს, მწუხარებას ნუ დავებრმავინებით. დაუფიქრდეთ, რა დროში ვცხოვრობთ. ვინ იცის, იქნება ილიას მკვლელს სწორედ ისიც უნდოდა, რომ მისი სიკვდილით ჩვენ, ქართველები ერთმანეთს გადავკიდებოდით*). ფრთხილად უნდა ვიყოთ და უნდა გვახსოვდეს, რომ დღეს ყველა ქართველები მგლოვიარენი ვართ და რაიმე ეჭვით ნუ გავუკეთებთ წყლულს მგლოვიარე თანამემამულე ამხანაგებს დღევანდელ უბედურებაში. **ნ.**

*) ძნელი წარმოსადგენია, რომ ილია აგრარულ ნიადაგზე იყოს მოკლული. თუ იმ დროს, როდესაც აგრარული ტერორი იყო გაზვირებული, მას ხელი არ ახლეს, ახლა უფრო რად მოჰკლავდნენ, როდესაც აგრარულ მოძრაობაზე ლაპარაკიც კი არ არის. **ნ.**

## ამონაკვნესი

**31 აგვისტოს**

გაიხარეთ, ჩვენის ქვეყნის დამაწყევარნო, გაიხარეთ, ბიჭ-ბუჭებო, ნაძირალებო, გაიხარეთ, ხალხის მტრებო, ხულიგანებო: მოჰკლეს ილია—საქართველოს ქირისუფალი!

იცინეთ, მგლებო, კრავის ტყავით მოარულებო, იცინეთ მხეცნო, კაცის სახის მატარებლებო, იცინეთ ბრიყვნო, დედის ძუძუს უარ-მყოფელებო: მოჰკლეს ილია, სამშობლოის მალმერთებელი!

ტაში დაჰკარით, ითამაშეთ, ჩამოუარეთ, გაინაწილეთ მისი ქურქი, მისი ქონება... რაღას უყურებთ, უწმინდურნო! გაცივებულ გვამს არც მკლავი უჭრის, აღარც აზრი და არც გონება!

მაშ, გაიხარეთ! ხომ გასთელეთ მურდალის ფეხით მრავალ ტანჯულის საქართველოს თავმოყვარება?! ხომ შეაგინეთ, ხომ წაბილწეთ, ხომ დაამცირეთ ჩვენის მწერლობის დიდება-ბოძი და უკვდავება?!

სხვა რაღა გინდათ?! იცინეთ-მეთქი! რკინის შანთებით დაგვისერეთ სული და გული... ახია ჩვენზე—მცონარებზე! ერი ბედკრული ღირსია მეტის წამებისა, გათახსირების:

იქნებ ოდესმე მოიკრიბოს თვისი ძალ-ღონე და შეებრძოლოს დამჩაგვრელებს, იუდის კერძებს!

დედავ ქართვლისა! ზიზღით დაჰგმე შენ შენი შვილი, ჩოხის მაგიერ დიაცურებ კაბა ჩააცვი, თუ-კი იმდენად დამაბუნდა და დავაგ-ლახდა, რომ კუჭის გარდა აღარაფერს აღარ დაეძებს!!. **ია ეკალაძე.**

## სამგლოვიარო დეპეშები

**ქუთაისი.** ოლქის სასამართლოს ვექილები ღრმად აღშფოთებული და შეურაცხყოფილი არიან ბოროტ-მოქმედებით, რომელმაც მოუსპო სიცოცხლე ჩვენს ძვირფას მგოსანს და საზოგადო მოღვაწეს, რომელიც აღვიძებდა ჩვენში სად თვით შეგნებას, მტკიცედ იცავდა საერთო ინტერესებს, უშიშრად და გაბედულად იბრძოდა ველურ ინსტიკტების, პიროვნების და ერის დამონების წინააღმდეგ. საზოგადოებრივი აზრი სამარცხვინო ბოძზე მიაკრავს ბოროტ მოქმედთ და ეს აუნაზღაურებელი დასაკლისი განამტკიცებს ჩვენში გონიერ თავის დაცვის რწმენას. ამით მაინც ვინუგეშოთ თავი.
**ამხანაგების მონდობილობით ქიქოძე.**

**სოხუმი.** თავზარი დაგვცა სოხუმელ ქართველებს ჩვენის ლიტერატურის დედაბოძის და მიმქრალ ეროვნულ ცხოვრების უკანასკნელ მოჰიკანის ტრაგიკულმა სიკვდილმა. სიტყვა ვერ გვიპოვნია გამოვთქვათ ჩვენი მწუხარება და გულის წუხილი უაზრო მკაცრ გარემოებათა გამო, რომელიც სამშობლოს საუკეთესო შვილთაც-კი არ ინდობს. გთხოვთ ვერცხლის გვირგვინით შეამკოთ განსვენებულის კუბო. **ქალაქის თავი თავდგირიძე.**

**ქუთაისი.** საადგილ-მამულო ბანკის მოხელენი ღრმად აღშფოთებულნი ვართ ძვირფას მგოსნის, საზოგადო და მხცოვან საზოგადო მოღვაწის ილიას საზარელ მკვლელობის გამო. ზიზღს ვუცხადებთ სინიდისზე ხელაღებულ მკვლელებს, რომელთაც ასე მძიმედ დასჭრეს მთელი ქართველ საზოგადოების გული.

**ბათუმი.** ქართველი მაჰმადიანები, აღშფოთებულნი ნიჭიერის მგოსნის, პუბლიცისტის და საზოგადო მოღვაწის ილიკო ჭავჭავაძის საზარელ მკვლელობით, მონაწილენი არიან მთელ ქართველობის ეროვნულ მწუხარებისა. ქართველთა საუკეთესო ძალნი უნდა შეერთდნენ ამ ბოროტ-მოქმედების გამოსაკვლევად, რომ ამით მაინც შეიმსუბუქონ ეს დიდი სახალხო მწუხარება. **მამედ-ბეგ-აბაშიძე.**

**ქუთაისი.** გამოუთქმელი მწუხარება მოგვაყენა ხალხის ძვირფას მასწავლებლის მოწამებრივმა სიკვდილმა. ილიას მკვლელები ქართველ ხალხის მკვლელები არიან.
**ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელნი.**

**ქუთაისი.** უსაზღვრო მწუხარებამ მოგვიცვა ქართველი სტუდენტები საუკეთესო ქართველის, მგოსნის და პუბლიცისტის მკვლელობის გამო. სიტყვა არ გვყოფნის აღშფოთება გამოვუცხადოთ ბარბაროსებს, რომელთაც ხელი შეახეს სამშობლო ქვეყნის ძვირფას შვილს.

**ხონი.** ღრმად აგვაშფოთა ბოროტმოქმედებამ, რომელმაც სიცოცხლე მოუსპო საუკეთესო ჩვენს მოღვაწეს ილია ჭავჭავაძეს. ვაი ჩვენ, რომ მხეცურად მოგვიკლეს საუკეთესო ქართველი მგოსანი, სიამაყე ჩვენის ლიტერატურისა.
**ალექსი ჭიჭინაძე.**

**ყვირილა.** უკიდურეს ზიზღს ვუცხადებთ საზოგადოების იმ ნაძირალებს, ასეთის ურცხვობით რომ მოუსპეს ქართველობას კაცი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა ნაყოფიერ სალიტერატურო მოღვაწეობას. ღრმა მწუხარებით მუხლს ვიყრით დაუვიწყარ ილიას ცხედრის წინაშე.
**ახალგაზრდობის ჯგუფის მონდობილობით ლეჟავა.**

**ქუთაისი.** აღშფოთებულთ ძვირფას პოეტის საზიზღარის მკვლელობით სიტყვა ვერ გვიპოვნია გამოვუცხადოთ ზიზღი იმ ჭუჭყიან ხელსა და გულს, რომელმაც გაბედა და სიცოცხლე მოუსპო ასეთ ძვირფას კაცს, საქართველოს მოზარდ თაობის მამას ილიას. **ქუთაისის მოსწავლეთა ჯგუფი**

**ხონი.** ძალით მოუსპეს სიცოცხლე საუკეთესო საზოგადო მოღვაწეს. მოჰკლეს პირველი მაუწყებელი ჩვენში გლეხთა განთავისუფლების იდეისა და ქართულ პოეზიის ხელოვანი, რომლის ნიჭიერი თხზულებანი ამშვენებენ ქართულ ლიტერატურას და უფრო განათლებულ ხალხის მწერლობასაც დაამშვენებდნენ. ღრმად აღშფოთებული ვართ ბოროტ-მოქმედებით. ილიას არ ესაჭიროება ქების სიტყვები; დიდი ხანია მან თვითონ აიგო ლიტერატურული ძეგლი. მიუდგომელი მემატიანე ქართულ ისტორიისა და ქართველთა ჩამომავლობა დაამტკიცებს, რამდენად ძვირფასი იყო ილია ქართველ ერისათვის.

**ქუთაისი.** ღრმად მწუხარენი ვართ ჩვენის ეროვნულ სიამაყის, პოეტისა და პუბლიცისტის ილიას საზიზღარის მკვლელობით. **ქართველ გიმნაზიელების ჯგუფი.**

**ქუთაისი.** საგუბერნიო სათავადაზნაურო კრებამ უაღრესის აღშფოთებით მოისმინა საბედისწერო ამბავი ნამდვილ ქართველის, ძვირფასის პოეტისა და პატიოსან საზოგადო მოღვაწის თ. ილია ჭავჭავაძის ტრაგიკულ სიკვდილისა. ბოროტმა სულმა ილიას მოკვლით შელახა ეროვნული გრძნობა და სიამაყე საქართველოსი.

**ბორჯომი.** ორ სექტემბერს ბორჯომის ეკლესიაში გადაიხადეს პანაშვიდი ტრაგიკულად გარდაცვალებულის ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრო დიდძალი ხალხი. ყველანი მეტად შეწუხებულნი არიან და ვერა გაუგიათ რა [illegible] ბოროტ-მოქმედებისა.
**მონდობილობით ციციანი.**

**ქუთაისი.** ქუთაისის „მეშჩანები“, ღრმად აღშფოთებულნი დიდებულის პოეტის საზიზღარის მკვლელობით, ზიზღს უცხადებენ სულმდაბალ მკვლელებს, რომლებმაც სიცოცხლე მოუსპეს უბედურ სამშობლოს ჭეშმარიტ შვილს,
**მეშჩანების მამასახლისი გოგოლაშვილი.**

**ზესტაფონი.** ღრმად აღშფოთებული ვართ ნაძირალთა საზიზღარ საქციელით, რომელთაც მოგვისპეს უნიჭიერესი მგოსანი და ლიტერატორი. ვგლოვობთ ილია ჭავჭავაძეს, რომელსაც მოადგილე აღარა ჰყავს.
**ზესტაფონელთა მონდობილობით მიხეილ დეკანოსიძე.**

**ფოთი.** დღეს ქალაქის წარმომადგენელთა და განსვენებულ ილია ჭავჭავაძის აურიცხველ თაყვანისმცემელთა დასწრებით პანაშვიდი გადავიხადეთ საკათედრო ეკკლესიაში. ქალაქის ხმოსანთა საგანგებო კრებამ დაადგინა ილია ჭავჭავაძის დასაფლავებისას ტფილისში დეპუტაცია და გვირგვინი გაგზავნოს და ქალაქ ტფილის მაგივრად მწუხარება გამოუცხადოს განსვენებულის ქვრივს.
ქალაქის მოურავის მოადგილე **იონა მეუნარგია.**

**ოზურგეთი.** ოზურგეთის საზოგადოება თავზარდაცემულია ჩვენი მგოსნის და დაუვიწყარი ილიას მოკვლით და ზიზღს უცხადებს საზიზღარ მკვლელებს, რომელთაც გაბედეს და მთელი საქართველოს საამაყო მგოსნის წინააღმდეგ აღმართეს მახვილი.

**კაკაბეთი.** კაკაბელი ქართველები თავზარ დაცემული და აღშფოთებული ვართ მხცოვან პოეტის, საზოგადო მოღვაწისა და მთელის საქართველოს დიდების ილია გრიგოლის ძის ჭავჭავაძის საზიზღარ მკვლელობით. გადავწყვიტეთ ილია ჭავჭავაძის სახელობაზე სტიპენდიის დაარსება. **გაზიძე.**

**სურამი.** გულის სიღრმემდის აგვაშფოთა ძვირფას ილია გრიგოლის ძის ჭავჭავაძის საზიზღარმა მკვლელობამ. ეს არის ეხლა გადავიხადეთ პანაშვიდი. ყველანი სასტიკად ჰგმობენ, ჰკიცხავენ და წყევლა-კრულვას უგზავნიან მკვლელებს. საუკუნო სირცხვილი და ჩირქი იმათ, ვინც აღმართა მახვილი წინააღმდეგ ილია ჭავჭავაძისა და განგმირა გული საქართველოს დიდებისა და სიამაყისა. ყველანი ვგლოვობთ და ცხარე ცრემლით ვტირით.
**სურამის ქართველი საზოგადოება.**

**პარიზი.** სამშობლოს მოშორებულნი ვსტირით სასტიკსა და ასე მოულოდნელ დანაკარგს—უებარ მგოსანსა და თავის ქვეყნის ნამდვილ შვილს ილიას.
**ნიკოლოზ ლორთქიფანიძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი.**

**ქუთაისი.** ღრმად აღშფოთებული ნიჭიერი მგოსნის საზიზღარის მკვლელობით ქუთაისის პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებელთა კორპორაცია ღრმა მწუხარებას აცხადებს: ილია ჭავჭავაძის დაკარგვით ქართველმა ხალხმა დაჰკარგა გამოჩენილი პოეტი და პუბლიცისტი.

**თელავი.** თელავის მაზრის მცხოვრებლებმა, გაიგეს რა საქართველოს დიდების და სიამაყის ილიას მოკვლის აღმაშფოთებელი ამბავი, მოგვანდეს ჩვენ შეგვეერთოთ მათი მწუხარება და ცრემლი ჩვენის სამშობლოს საერთო მწუხარებას,
**მაქსიმილიან ჭავჭავაძე.**

ყვარელის წარმომადგენელი სეფაშვილი, და სამთავიშვილი, შილდისა—გოგიშვილი, ახალსოფლისა—ჩანკოტაძე, კუჭატანისა—მარქარაშვილი, ახალგაზისა—პარკოსაშვილი, ხაბუესი—ოსიაშვილი, გრემისა—ჭაბრაშვილი, ენისელისა—არჯევანიშვილი, მაქრიანისა—თუგუნიძე, ნაფარეულისა—ბაქრაძე, არტანისა—მამუკაშვილი, სანიორესი—ჭ რმღსიაშვილი, ფშაველისა—წი-

## ფელეტონი

### ფიქრების ნახევები

ახალი უბედურება ჩამოაწვა, საბედისწეროდ, მთელ საქართველოს და განადგურებას უქადის. შიმშილი, ოჯახის ამომწყვეტი შიმშილი ეწვის დღეს ქართველ ხალხს. მისი ყრუ კვნესა, აშკარა ტანჯვა, ოჯახის დედა-ბავშვიანა უნუგეშო გოდება—ეს ცოცხალი ტრაგიზმი—მხოლოდ უფერულ გამოხატულებას თუ იღებს მკვდარ ასოების სახით საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან გამოგზავნილს კორესპონდენციებში. მაგრამ ხალხს დაშორებული ჩვენი საზოგადოების ზეითა სართული, რომლისთვისაც ხალხის ცოცხალი ტანჯვა და კვნესა მიუწდომელი გახდა, ამ კორესპონდენციებით ნაუწყები, სანტიმენტალიზმის პირველ, უმანკო იერიშზე, დამშეულ ხალხის ხელის შეწყობას, დახმარებას შეუდგა; დაიბეჭდა რამდენიმე ცხარე წერილი გაზეთებში, მოუწოდეს საზოგადოებას დახმარებისათვის... გულ-კეთილმა ადამიანებმა ქველმოქმედება გამოიჩინეს, შეძლების დაგვარი დახმარება გამოიღეს და შეგროვილი ფული დამშეულთა დამხმარებელ საზოგადოებას გადასცეს დანიშნულების მოსახმარებლად. ამითი თავდება საქმე. საზოგადოების ზეითა სართული, დაქანცული „ამოდენა“ გულკეთილობით და მშიერ ხალხისადმი გამოჩენილ თანაგრძნობით, განსვენებას მიეცა, ფარ-ხმალი ჩამოიხსნა, „ძლევა-მოსილ“ შეტევით მტერი ხომ დაამარცხა!

ხოლო ჩვენი საზოგადოების საფუძველი, ძირი ისევ უნუგეშო მდგომარეობაშია, ირყევა, მწვავე კრიზისს განიცდის და თუ რადიკალურ საშუალებებს არ მიმართა შიმშილის წინააღმდეგ, იმის ტანჯულ სიცოცხლეს ტრაგიზმით სავსე ბოლო მოელის!

ძველი, მონარჩენი ჰირნახული, რომელიც გასასყიდად ისევ ქვეყნის მახრჩობელა ჩარჩების ხელშია, დღეს ერთი სამად ფასობს ჩვენში. აბა იმ ხალხს, რომელსაც ერთი გროში არ აბადია და ზურგი ათასგვარ უკულმართ გადასახადის ამკრეფის მათრახებით აქვს ამწვარი, სად შეუძლიან ამ დიდ ფასებში სარჩო იყიდოს და ცოლ-შვილი არჩინოს?! და უფინჩოდ დარჩენილი ხალხი სასოწარკვეთილებას ეძლევა.

ამნაირად, ჩვენი ხალხის საშიში მდგომარეობა ფაქტია! ერთი ვიკითხოთ, რაგვარ საშუალებებს ადგია იგი ამ საშინელების წინააღმდეგ საბრძოლველად? რა გზით ჰსურს თავი დააღწიოს ამ უბედურებას და მომავალი განიმტკიცოს, საიმედო გაიხადოს? სამარცხვინოდ ჩვენდა, უვიცი, ბრმა, გაუნათლებელი, იგი ამ თავზარდამცემ უბედურებას ღვთის განგებას აწერს. თავის თავს უღონოდ სთვლის მოუსავლობის წინააღმდეგ საბრძოლველად და, გაბოროტებული, განგების გულის მოსაგებად, სხვა და სხვა გულუბრყვილო საშუალებას სძებნის: ეკლესიებიდან ჯვრებისა და ხატის გამოსვ-ნებაშია, მათ დაბანვაში, ლაზარეზე სიარულშია გართული; მართავს საზოგადო ლოცვა-ვედრებას, სცდილობს ძველი, ნანახი, უკვე ნახმარი საშუალებები განიმეოროს, რომ რითიმე განგებას წვიმა დასტყუოს და ამწვარ-ახრუკულ ყანებს საზრდო მიაშველოს. ამავე დროს კი ტყეებს უსისტემოდ სჩეხს და აქცევს, ამით მიწას სინამეს უკარგავს, მდინარეებს აშრობს და გვალვის მსხვერპლად თავს იმზადებს, ამაოდ ეძებს ამაებში ტანჯული ხალხი თავის მდგომარეობის შემამსუბუქებელ საშუალებებს! ყველა ეს მხოლოდ უტყუარი მოწმე ჩვენის საბრალო ჩამოქვეითებისა, უკულტურობისა და სასტიკი მტერი თვითმოქმედებისა, სწორ ზომების გამოძებნისა! ადამის დროის იარაღით სჩიჩქნის იგი მიწას, სწოვს, სწუწნის და ერთხელაც თავში არ მოსდის ის აზრი, რომ ამ მარჩენალ მშობელ დედას—მიწასაც თავის მხრივ ჭამა უნდა, სმა, რათა შესძლოს მეტის ნაყოფის გამოღება, ოფლის მღვრელის უკედ რჩენა. მიწა იგივე მშობელი დედაა, რომელსაც მხოლოდ მაშინ შეუძლიან ჯანსაღ, მრთელ შვილის აღზრდა, როდესაც თვითონ სიმყოფაზე აქვს მარგებელი, საღი საჭმელი. თუ გვინდა, მეწველ ძროხას მეტ რძეს ჩამოვრჩეთ, უკედ ვასარგებლოთ, რა თქმა უნდა, აზრად არ მოგვივა მისი უსმელუჭმელად დამწყვდევა!

ასეა მიწაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მას ძროხასავით ბღავილი არ შეუძლიან, ბღავილი, რომელიც თავ-თავის დროზე მოვლა-პატივისცემაზე მიუხედავრელ პატრონსათვის ასე ძლიერაა საჭირო. ყოველი დამუშავებაზე მიწა ჰკარგავს თავის ცოცხალ ძალას, იგი ხარჯავს თავის ენერგიას, ნელ-ნელა იფიტება, მჭლევდება და ბოლოს სულ გამოუსადეგარი ხდება. აბა ასეთ დაუძლურებაში ჩავარდნილ მიწას რას უშველის მღვდელი თუ ბერი, ხატის დაბანვა თუ ლოცვა-ვედრება?! ყველაფერი ეს თავის მოტყუებაა, გულსაკლავი, უვიცობა ცრუმორწმუნეობაში მცურავ ხალხისა! მიწას უნდა სასუქი, დედაშვილური მოვლა, მორწყვა. შრომის შვილს უნდა ესმოდეს დედა-მიწის ჩუმი ტანჯვა, წუხილი, მისი შიმშილი და წყურვილი. უნდა მიუშველოს მას, გაუგონოს, შეისწავლოს იგი და მაშინ მოგებაში დარჩება, გამარჯვებაც მისი იქნება. თორემ... მწარეა ეს „თორემ“... სიმინდის მარცვლის გულ მტლი გაუჩდეს, აოხრებდეს ნაჭირნახულევს და მშრომელი-კი ხატის გამოსვენებას ანდობდეს ამ საშიშ სენის განადგურებას?! ყანებს მინდვრის თაგვი და კალია ანადგურებდეს, და ის-კი ლაზარეზე დარბოდეს ამ ტრების გასაქრობად!!

ხალხი უვიცობის ბურუსში სცურავს. საღ, ნამდვილ საშუალებებზე წარმოდგენაც-კი არა აქვს. ახლა ვიკითხოთ, რას შვრებოდა, რანაირ დამოკიდებულებაში იყო და არის ჩვენი ინტელიგენცია ამ ჩვენის ცხოვრების დედა საკითხთან? როგორ და რა გზით ეხმარებოდა იგი თავის მშრომელ ხალხს? ინტელიგენცია მცონარე, მოქმედების უნარს მოკლებული გამოდგა; ცხოვრების ამ დარგში, როგორც სხვებშიაც, მას სიცოცხლის ნიშან-წყალი არ გამოუჩენია. თითქმის ყველა იმათ, რომელთაც რუსეთსა თუ უცხოეთში აგრონომიული სწავლა-განათლება მიიღეს, იმის მაგივრად, რომ მიწის ევროპიული კულტურა გადმოენერგათ ჩვენს ნიადაგზე, დამეგობრებოდნენ დედა-მიწას და იმის დამამუშავებელ მშრომელ ხალხს და ამითი ხელი შეეწყოთ ქვეყნის ეკონომიურ კეთილდღეობის აყვავებისათვის, უარი განაცხადეს შეძენილ სწავლა-განათლების გამოყენებაზე და სხვა და სხვა სამსახურში ჰკრეს თავი! ზოგი ბანკოფის აწარმოებს, ზოგი ქალაქის საბჭოებში მსახურებს, ზოგი ადმინისტრაციაში, ზოგი კიდევ სად! აბა რისი ქართველები იქნებოდნენ, ჩანტი, უენერგიონი, უინიციატივონი, რომ ამ საქმეში აქტივობა გამოეჩინათ?! ცოცხალი, ორგანიული მუშაობა, დალოცვილი მადლიანი ჯაფა და ოფლი მშრომელ მიწის გასამშვენიერებლად, იმ მიწისა, რომელიც ერთად-ერთი საშუალებაა ადამიანის არსებობისა, დაკავშირება მეცნიერებისა მიწათ-მოქმედებასთან და მშრომელ ხალხის აღზრდა კულტურის პრაქტიკულ ნიადაგზე დაყენებით—ყველა ეს მათ უკუაგდეს, ზარმაცნი გაექცნენ აქტიურ აღმშენებელ მუშაობას, თავიანთი ცოცხალი ცოდნა საკანცელიარო ოთახებში მთქნარებაზე გაჰყიდეს და საგადამწერლო კალმის წვრილში გასცვალეს.. მაგრამ იქნებ ციდან ჩამოწვიმა უამრავი რიცხვი აგრონომებისა და ატეხილ კონკურენციაში დამარცხებულები არიან, რომ სხვა და სხვა სამსახურში შეიპარნენ?! ან იქნება ჩვენი დედა-მიწა ისე საუცხოოდ დამუშავებული დაუხვდათ, რომ საჭიროდ აღარა სცნეს თავიანთ-ცოდნის გამოყენება?

ამ პირთა საქციელში, ამ მწარე კერძო მოვლენებში საერთო უბედურების ნიმუშებია გამოსახული. აქაც ჩვენი ინტელიგენციის უსუსურობა, მისი სიუბადრუკე სჩანს. ჯერ ხომ ჩვენი ხალხი ობოლია ინტელიგენციის მხრივ, მას ჯერამც არ მოზრდია თავის მუცლიდან ნაშობი, ღვიძლი ინტელიგენცია, იმის ტკივილ-იარებით მკვნესავი. წყეულმა ბიუროკრატიამ ჩვენს მონურ საზოგადოებრივ ცხოვრების ნიადაგზე შეჰქმნა შესაფერისი მონა-მორჩილე ინტელიგენტის ტიპი. ჩვენს სამშობლო ტერიტორიაზე წარმოებული ძალმომრევი პოლიტიკა, უცხო ჩვენის ხალხის ცხოვრების შინაარსისთვის, და ამ პოლიტიკასთან შეწყობილი, ჩვენი ხალხის გულში ძალად საშენებული, რუსიფიკაციის სულით გაჟღენთილი სკოლები—ეს პირდაპირი მტერი ჩვენის ხალხის ღვიძლი, მემკვიდრეობით კულტურის განვითარებისა—ჰქმნიდნენ ხალხის შვილებისაგან მთავრობის პოლიტიკის ტიკინებს, რომლითაც მთავრობა თავში სცემდა ხალხს. სკოლა, საზოგადოებაში წარმოებული პოლიტიკა იყო სხვისი და იქ „გამოჭახნაკებული“ ჩვენი ინტელიგენცია ემმაკის იარაღად გადაიქცა და უცხო გახდა ჩვენის ხალხისათვის. **გენდი.**

პარიზი,

(დასასრული იქნება)

კორამე, მაღრანისა—ახალბედაშვილი, ქიზიყაურისა—კვიცაშვილი, ალავერდისა—თარამშვილი, ხირსიისა—ებელაშვილი, ყიოსი—გამდლიშვილი, ზემოხოდაშენის—გელდიაშვილი, იყალთოსი—მრელაშვილი, რუისპირისა—დალაქიშვილი, ყარაჯალასი—მუსა-ალი-მურალი-ოღლი, გულგულასი—ოხანაშვილი, ვარდისუბნისა—ჯაბაშვილი, კურდღელაურისა—ფარადაშვილი, შალაურისა—მაგუკაშვილი, კისისხევისა ზაალიშვილი, კონდოლისა—ჩარგამე, წინანდალისა — ფარსიაშვილი, ქვემოხალშენისა — მალუმე, ბუზათისა—რაზმამე, ვანთასი—ტოგონიძე, აწყურისა—გუგუთაშვილი, ვაჩნაძიანისა—თავთეთრიშვილი, კალაურისა—გულმაგარაშვილი, შაშიანისა—ხოთანაშვილი, ურიათუბნისა რესტიაშვილი.

**გორი.** მთელ საქართველოსთან ერთად გორის მცხოვრებნი, განურჩევლად ეროვნებისა, უზომოდ აღშფოთებულნი და შეწუხებული არიან საუკეთესო მამულისშვილის, ქართველი ტომის სიამაყის, ილია ჭავჭავაძის უღვთო მოკვლით; ზიზღს, წყევლა-კრულვას უცხადებს იმ ბილწ, ქვემძრომ და ადამიანობა დაკარგულ ძალებს, ვინც ეს შემაძრწუნებელი საქმე ჩაიდინა.

სამარადისოდ, დაუსრულებელი ტანჯვაწვალება ხორციელი და სულიერი იმათ, ვინც მოგვაშორა ქართველთა გულს დაუვიწყართ, ქართველთა ერის დიდებავ, ილია. სანამ ქართველობა იხსენიება დედამიწის ზურგზედ, შენი ხსოვნა და თაყვანისცემაც ყველა ნამდვილ ქართველს გულში მტკიცედ ექნება ჩანერგული. შენს ხსოვნასთან მოიგონებენ შენ მკვლელებსაც და არ დაულევენ წყევლა-კრულვას.

**ქუთაისი.** ქუთაისელი ვაჭრები ღრმად აგვაშფოთა და აგვაღელვა საზიზღარმა ბოროტმოქმედებამ. ქვეყნის ნაძირალებმა მოსპეს სიცოცხლე მგოსანს სათაყვანებელ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძეს, რომელმაც ნახევარი საუკუნე შესწირა წამებულ და დატანჯულ სამშობლოს კულტურულ ინტერესებს. ჭეშმარიტად საშინელია ის დრო, როცა არ ინდობენ ისეთ საუკეთესო მამულიშვილებსაც კი, რომლითაც ქართველი ერი ამაყობს და თავს იწონებს.

**მოსკოვი.** მოსკოვის კომერციულ ინსტიტუტის სტუდენტებს თავზარი დაგვცა ილია ჭავჭავაძის სიკვდილმა. საქართველომ დაჰკარგა პირველი მამულისშვილი.

## ილიას მოკვლის ამბავი ქუთაისში.

**31 აგვისტო.** ილია ჭავჭავაძის დაკარგვა ჩვენ მკვლელობის დღესვე გავიგეთ სოხუმში თავ. ლევან ჯანდიერთან გაგზავნილ დეპეშიდან. ხალხის აღელვებას და აღშფოთებას საზღვარი არა აქვს. ძნელი ასაწერია ის, თუ რა ხდება ამ ჟამად ქუთაისში. თუ მხედველობაში არ მივიღებთ თითო ოროლა გადაშენების გზაზე დამდგარ კაცს, რომელთაც თავიანთ თავის მეტი სხვა არარავინ მიაჩნიათ ქვეყნის მხსნელად, სხვა ყველა ერთნაირად აღშფოთებულია ილიას მოკვლით და წყევლას და კრულვას უთვლის იმ უწმინდურ ხელს, რომელმაც სიცოცხლე მოუსპო საქართველოსთვის თავდადებულ მოღვაწეს.

ამ სტრიქონების წერის დროს, ე. ი. 31 მარიამობისთვეს, მცირე ცნობები გვაქვს ხელთ ილიას მოკვლის შესახებ—ვიცით მარტო, რომ იგი მოკლულია, ხოლო ჭორად ამბავი მოიტანეს, რომ მკვლელები სამხედრო ტანისამოსში იყვნენ გამოწყობილნი. რამდენად მართალია ეს, არ ვიცით, მხოლოდ მითქმამოთქმა ქალაქში დიდია.

საქმის გამოძიების უცოდინარობის გამო მთელი დღე აღელვებული და აღშფოთებული ხალხი გარკვეულ გზას ვერ დაადგა. მარტო ქალაქის გამგეობამ გაავრცელა 31 ენკენისთვეს სამგლოვიარო განცხადება, რომლითაც მოქალაქენი 1 ენკენისთვისთვის მიიწვია საკათედრო ტაძარში პანაშვიდზე. წინა დღეს ქალაქის თეატრში, ილია ჭავჭავაძის მოკვლის გამო, გადაიდო კონცერტი. 31 აგვისტოს გუბერნიის მარშლის ინიციატივით ბანკში შეიკრიბა თავად-აზნაურობა. აირჩა კომისია, რომელმაც უნდა მოაწყოს როგორც პანაშვიდების გამართვა, ისე დეპუტაციების გაგზავნა დასაფლავებისათვის. პანაშვიდი 2 ენკენისთვისთვის დაინიშნა. 3 ენკენისთვეს ქართულ გიმნაზიაში სწავლის დაწყებამდე გადახდილ იქნება პანაშვიდი და შესაფერი სიტყვაც იქნება წარმოთქმული.

დასაფლავებაზე მრავალი დეპუტაცია დაესწრება აქედან.

1 ენკენისთვე. 1 ენკენისთვეს მოუთმენლად ველოდით გაზეთებს, გვეგონა გავიგებდით ილია ჭავჭავაძის მოკვლის ამბავს დაწვრილებით. ამ მხრით მოსულმა გაზეთებმა ვერ დაგვაკმაყოფილეს, მაგრამ წყლული, ჭავჭავაძის სიკვდილით გამოწვეული, უფრო გაღრმავდა და გამწვავდა იმ ზომამდე, რომ ბევრ გაზეთში მოთხრობილ ამბების კითხვის დროს ცრემლებს ვერ იკავებდნენ. იშვიათად შეხვდებით კაცს, რომ მის სახეზე დიდი მწუხარება არ იხატებოდეს.

ილიას დაკრძალვაზე წამოსასვლელად აქედან ბევრი ემზადება. სხვათა შორის, ქართული გიმნაზია დაკრძალვის დღეს სწავლას შესწყვეტს და მთელი კორპორაცია მასწავლებლებისა და უფროს კლასების მოსწავლეების წარმომადგენელნი აპირობენ ტფილისში წამოსვლას.

ამ სტრიქონების დამწერი ვიქტორ ჰიუგოს სიკვდილსა და დასაფლავებას დაესწრო პარიზში; საფრანგეთმა დიდი პატივი სცა თავის სახელოვან მამულიშვილს, მაგრამ არა მგონია ფრანგთა შორის ისეთი გულ-წრფელი და გულიდან ამონახეთქი მწუხარება ყოფილიყო, როგორც ილიას მოკვლამ გამოიწვია აქ. გასაკვირველიც არ არის, რადგან ჰიუგომ ბუნებრივად დალია სული, ჩვენ-კი პირველ მოღვაწეს, პირველ ქართველს ტვინი შარა გზაზე დავანთხევინეთ, თითქო მას დიდი ღვაწლის მეტი სხვა რამე დანაშაულობა მიუძღოდეს სამშობლო ქვეყნის წინაშე.

ქალაქის გამგეობის მიერ დანიშნულ პანაშვიდს მრავალი ხალხი დაესწრო. მაღაზიების უმრავლესობა დაიკეტა და ვინც არ დაჰკეტა მაღაზია, ბოდიშს იმითი იხდიდა, რომ პოლიციისა გვეშინიანო.

## სიტყვა

თქმული 1 ენკენისთვეს 1907 წ. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად გადახდილს პირველ პანაშვიდზე.

**მოიხსენენით წინამძღვარნი იგი თქვენნი... და ბაძევდით სარწმუნოებასა მათსა (ებრ. 13, 7)**

გვამცნობს მოციქული პავლე და ჩვენც, აღმსრულებელნი ამა მცნებისა, შევკრებილვართ დღეს ილიას სულის მოსახსენებლად. წინადაც მრავალჯერ შევკრებილვართ ამ ტაძარში ამა თუ იმ პატივცემულის პირის სულის მოსახსენებლად, მაგრამ ასეთი მწუხარება ვერ შეგვიმჩნევია: დღეს, დიდს თუ პატარას, ქალსა თუ ვაჟს, განუსაზღვრელის მწუხარების ნიშანი აღბეჭდვია სახეზედ: დღეს თითქმის ყველას დავიწყებია საკუთარი ჭირი დავარამი და ყველა ილიას დაკარგვას გლოვობს: ილია აღარ გვყავს, ილია მოგვიკლეს— -გესმის ყოველ მხრივ...

ამ მოვლენის მიზეზი ცხადია: ყველა ქართველს ილია მიაჩნდა არა თუ მარტო დიდებულ მწერლად, ანუ ფას-დაუდებელ მგოსნად, განა თუ გამოჩენილ და სასიქადულო საზოგადო მოღვაწედ, არამედ და უმთავრესად გზის მაჩვენებლად, ჭკუის მასწავლებლად, ანუ, სიტყვისაებრ საღმრთო წერილისა, წინამძღვრად. ჭეშმარიტად „ჭმუნვასა და სიხარულში“ იგი იყო ჩვენი ნუგეშის „მთამგონებელი“ და შვების-მომცემი, ხოლო „ფიქრის, საქმის, შრომის დროსა“ ხომ იმას ბადალიც არა ჰყავდა: მისი რჩევა და დარიგება „უსჯულო ქმნილს“ იქცევს ჩაუნერგავდა გულში და ბედისაგან განდადებულს განსაცდელისა და საფრთხისაგან დაიხსნიდა...

მაგრამ დღეს ილია აღარა გვყავს, ილია მოგვიკლეს, ილია მოგვაშორეს და მოგვაშორეს სწორედ მაშინ, როცა მისი ქველობა და გამოცდილება ფრიად საჭირო იყო იმ მამულისათვის, რომლის აღყვავება-აღორძინებაზედ იგი ოცნებობდა სიყრმიდამ მოხუცებულობამდე, მოგვაშორეს უეცრივ და მოულოდნელად: დღეს

> ის აღარ ჰყავვის ამ ბნელ ქვეყანად,
> ეხლა ის არის მცხოვრები ცისა...

რა დაგვშთენია დაობლებულთ, ნუ თუ მარტო ტირილი და გოდება, სულთქმა და წუხილი? არა! მართალია, ილია მოგვიკლეს, ილია მოგვტაცეს, მაგრამ მოჰკლეს ილიას ხორცი და არა სული; „კაცია ადამიანის“, „გლახის ნაამბობის“, „აჩრდილის“, „დიმიტრი თავდადებულის“ და მრავალ სხვათა შემქმნელი ვერ მოკვდება ქართველთა ერის ხსოვნაში; ქართველთა ერი ვერ დაივიწყებს მას, ვინც მუხლ-მადრეკით და ღმობიერად შესდრებოდა მამა ზეციერს:

> მწყურს განმინათლდეს ცით ჩემი სული,
> ზენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს

[შემდ. იქ.]

ვერ მოკვდება ჩვენს გონება-მეხსიერებაში ის, ვინც [შიშ.]

> წმინდა სიტყვას უშიშარად მოჰფენდა ხალხს—

მუდამ დაუვიწყარი იქნება ის, ვინც მოზარდ-თაობის აღმზრდელებს დაჟინებით უქადაგებდა:

> საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,
> შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
> ძმობას, ერთობას, თავისუფლებას,—
> რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს
> და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს;

საუკუნოდ სახსენებელი იქნება ის, ვინც გამუდმებით გვიგარხანებდა:

> ვაჟკაცი იგია, ვინც მართალს
> ეტყვის ქვეყანას მცდომსაო,
> ვინც არ შეუდრკა მრავალსა,
> ხშირად მართლისთვის მწყრომსაო,
> ვინც კრავს უმანკოს ეკრძალვის
> და პირში უდგა ლომსაო;

ჩვენი გონებიდან ვერ ამოიშლება სახელი მისი, ვინც დღე-მუდამ გვეუბნებოდა:

> კაცად მაშინ ხარ სარგები,
> თუ ეს წესი წესად დარგე:
> ყოველ დღესა შენს თავსა ჰკითხო—
> აბა მე დღეს ვის რა ვარგე?

სამარადისოდ უკვდავი იქნება ხსოვნა მისი, ვისაც

> ერის წყლული ურჩნდა წყლულად,
> ეწოდა მის ტანჯვით სული,
> მის ბედით და უბედობით
> დადაგვია მტკიცე გული.

ჩვენი ვალია, ილიას ნათქვამში—ნანდვრძვგი საქმედ ვაქციოთ, ცხოვრებაში განვახორციელოთ და მით ილიას სულიც გავახაროთ და ჩვენს თავსაც სარგებლობა მოვუტანოთ, ვინაიდან „სარწმუნოება თვინიერ საქმეთასა მკვდარ-არს“ (იაკობ. 2, 20), ანუ, როგორც თვით ილიაც ამბობს:

> ცხოვრებას აცისკროვნებს
> სული საქმით მეტყველი.

ხოლო ამ შავსა და უბედურს დღეს კი ვინუგეშოთ თავი მით, რომ

> არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს
> და ხალხს შესწიროს დღენია,
> მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
> სახელი არ დარჩენია.

**მღვდ. ტ. ჭანტურია.**

# ახალი ამბავი

✦ **ილიას დაკრძალვის დღე და წესრიგი.** კვირას, 2 სექტემბერს, ტფ. დეპუტატთა საკრებულოში მოხდა სხდომა ტფ. საზოგადო დაწესებულებათა და ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლებისა, რომელთაც ილია ჭავჭავაძის დასაკრძალავად არჩეულ კომისიასთან ერთად უნდა შეემუშავებინათ მგოსნის გვამის დაკრძალვის წეს-რიგი. თუმცა განზრახული იყო, განსვენებულის გვამი 6 სექტ. გადმოესვენებინათ ტფილისში დასაკრძალავად, მაგრამ რადგან საქართველოს ყველა კუთხიდან—კახეთისა, იმერეთისა, გურია-სამეგრელოსა, აჭარა ბათუმისა და სხვა ადგილებიდანაც ამბავი მოვიდა, წარმომადგენელნი აპირებენ ჩამოსვლასაო, ამიტომ კრებამ საჭიროდ დაინახა განსვენებულის დაკრძალვა გადაედო. დასაფლავების დღედ დაინიშნა კვირა, 9 სექტემბერი. ხუთშაბათს საღამოთი ტფილისიდან საგურამოში გაემგზავრებიან კომისიის წევრნი, ქ. შ.-წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობის წევრნი—ივ. რატიშვილი, დავით კარიჭაშვილი, თავ. ივანე ჭავჭავაძე და გაზეთებისა და მუშათა წარმომადგენელნი და იქ პანაშვიდის გადახდას დაესწრებიან. ცხედარს გამოასვენებენ პარასკევს, ასე დილის 10 საათზე და ტფილისში მოასვენებენ ამავე დღეს. ხალხის ერთი ნაწილი ნაშუადღევის 1 საათზედ ცხედარს მიეგებება დიღომს იქით, ხოლო უმრავლესობა ვერაზედ ჯვართან. აქედან 3 საათზე ცხედარს წაასვენებენ გოლოვინის პროსპექტითა და სიონის ქუჩით სიონის ტაძარში, სადაც გვამს დასტოვებენ 9 სექტემბრამდე. კვირას გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი და შემდეგ სიონის ტაძრიდან ცხედარს წაასვენებენ მამა დავითის ეკლესიაში.

✦ **პანაშვიდი.** კვირას, 2 სექტემბერს, ნაშუადღევის 2 საათზედ, სიონის საკრებულო ტაძარში გორის ეპისკოპოსმა სიონის კრებულის თანამლოცველობით გადაიხადა პანაშვიდი ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის დაწყებამდე დეკანოზმა ნ. ტყემალაძემ მოკლე სიტყვა წარმოსთქვა. პანაშვიდს დაესწრო დიდძალი ხალხი, საზოგადო დაწესებულებათა და აქაურ გაზეთების წარმომადგენელნი, ქალაქის თავი, მარშლები და სხვანი. სხვათა შორის, პანაშვიდს დაესწრნენ ნამესტნიკი მეულლითურთ და ნამესტნიკის საბჭოს წევრნი.

✦ **წ.-კ. საზ. გამგეობის დადგენილება.** წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას საგანგებო სხდომა ჰქონდა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარისა და საპატიო წევრის ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების გამო. იმის ხსოვნის აღსანიშნავად გამგეობამ დაადგინა: გადიხადოს პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად ოთხშაბათს, 5 ენკ. სიონის ტაძარში, მისი კუბო შეამკოს ყვავილების გვირგვინით; განსვენებულის დასასაფლავებლად არჩეულ კომისიაში გაიგზავნოს გამგეობის ორი წევრი; გამგეობის ერთ ერთ წევრს დაევალოს განსვენებულის დასაფლავების დროს სიტყვის წარმოთქმა; მთელი გამგეობა დასაფლავებას დაესწროს სამგლოვიარო ტანისამოსით; გამგეობის ორი წევრი გაიგზავნოს საგურამოში, საიდანაც იმათ კუბო უნდა გამოაცილონ ტფილისამდე; გამოიცეს და უფასოდ დარიგდეს 5000 წიგნი ილ. ჭავჭავაძის საუკეთესო ლექსებისა.

✦ **მკვლელობა დუშეთში.** როგორც დუშეთიდან გვატყობინებენ, 31 მარიამობისთვეს საღამოთი პ. პაპაშვილის დუქანში ფანჯრიდან რევოლვერით მოჰკლეს ადგილობრივი მოქალაქე ივანე მიხეილის ძე მარტიროზოვი. ერთი საათის შემდეგ გაჩნდნენ პოლიცია და ჯარის კაცნი. დაიწყეს თითქმის მთელი თუქნების ჩხრეკვა, მაგრამ საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს. მკვლელი მიიმალა.

✦ **ქალთა კრება.** დღეს ნაშუადღევის ექვს საათზე დანიშნულია ქართველ ქალთა კრება ჟურნ. „ნაკადულის“ რედაქციაში. კრების საგანია-მოლაპარაკება იმის შესახებ, თუ როგორ სცენ პატივი სასიქადულო მგოსნისა და მოღვაწის ილია ჭავჭავაძის ხსოვნას. მსურველნი სთხოვენ დაესწრნენ.

✦ **დრამატ. საზოგადოების კრება.** 2 სექტემბრისთვის ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნული იყო კრება ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა გამგეობის ერთის წევრისა და სარევიზიო კომისიის ამოსარჩევად. კრებამ მოისმინა ამბავი ილია ჭავჭავაძის ვერაგულად მოკვლის შესახებ, ფეხზედ ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნად და ნიშნად მგლოვიარობისა კრება სხვა დროსათვის გადასდო.

✦ **გაჩხრეკა და დაპატიმრება.** პოლიციამ 2 სექტემბერს ღამე გაჩხრიკა „ხარისხის“ რედაქცია, წაიღო სხვა და სხვა ქაღალდი და ხელის მომწერლების ადრესები. დააპატიმრა რედაქციის მსახური ასატურა.

✦ **მკვლელობა.** როგორც სააგენტოს დეპეშა იუწყება, 1 სექტემბერს საღამოს 8 საათზე კისლავოდსკის კურზალში ხალხის თვალ წინ სასიკვდილოდ დაუჭრიათ კურზალის გამგე გაბუნია. მკვლელი მიმალულა კურზალისავე პარკში.

✦ **მკვლელობა.** სააგენტოს სიტყვით, ქუთაისში, თეატრის პირდაპირ საღამოს 8 საათზე, მოუკლავთ ერთი პოლიციელი.

✦ **ნება არ დართო.** ტფ. თამბაქოს ქარხნის მუშებმა გადასწყვიტეს დააარსონ პროფესიონალური კავშირი და ამ დღეებში ტფ. გენერალ-გუბერნატორს სთხოვეს ნება დაერთო ქალაქის საბჭოს დარბაზში კრების გამართვისა წესდების მისაღებად და ბიუროს წევრების ასარჩევად. გ.-გუბერნატორმა ნება არ დართო.

✦ **სომეხთა დრამატ. საზ. გამგეობის დადგენილება.** 1 სექტემბერს სხდომა ჰქონდა სომეხთა დრამატიულ საზოგ. გამგეობას, რომელმაც მოისმინა ილია გ. ჭავჭავაძის ტრაგიკულად მოკვლის ამბავი და დაადგინა, დაევალოს გამგეობის თავმჯდომარეს დაესწროს დაკრძალვას და საზოგადოების სახელით მწუხარება გამოუცხადოს მგოსნის ოჯახობას.

✦ **ტრამვაი ნავთლუღამდე.** ავლაბრიდან ნავთლუღამდე ტრამვაის ლიანდაგის გაყვანა უკვე დასრულდა. დღეს, 4 სექტემბერს, ქალაქის გამგეობის წარმომადგენელის თანადასწრებით ტეხნიკოსები უსახელო საზოგადოების ტეხნიკოსებთან ერთად გზას გამოსცდიან.

✦ **პოლიტიკური საქმე.** გუშინ 3 სექტემბერს, კავკასიისა სამხედრო ოლქის სასამართლოში დაიწყო გარჩევა პოლიტიკურ საქმისა. პასუხის გებაში მიცემულია ივანე პავლიაშვილი. პავლიაშვილს ჰბრალდება პოდპორუჩიკის კომენკოს მოკვლა გუმბრში.

✦ **სიკვდილით დასჯა.** სამხედრო ოლქის სასამართლომ გორის მაზრის სოფ. ვაყის მცხოვრებთ კარაპ. მიქელაშვილს, ალექსანდრე ნადირაშვილს და მარტ. გალიბაშვილს გადაუწყვიტა სიკვდილით დასჯა. ამათ ბრალი ედებოდათ თავ. ბეგთაბეგოვის მოკვლა. ნაშევაძე გაამართლეს.

✦ სახალხო სკოლების დირექტორი შეეკითხა ტფ. ქალაქის გამგეობას, რომელ სარწმუნოების პირთა მიწვევას აპირებს გამგეობა ქალაქის იმ სასწავლებლებში, სადაც სამღვთო სჯულის მასწავლებლებად აქამდე ერის კაცები არიანო.

✦ პოლიციამ 2 სექტემბერს დააპატიმრა გარეგინ ოჯანეზოვი, არშაკ მერკულოვი და აკოფ გასპაროვი, რომელთაც გაჩხრეკი დროს აღმოაჩნდათ რევოლვერი და ბებუთები. დაპატიმრებულნი სკომენდანტო სამმართველოში გაგზავნეს.

✦ 2 სექტემბერს 12 საათზედ ოლგას ქუჩაზედ პოლიციელებმა დააპატიმრეს ერევნის გუბერნიის მცხოვრები თევოს ბადალოვი, რომელსაც ალექსი მამუკაშვილისათვის ორი კამბეჩი მოეპარა. და მიჰყავდა.

✦ შაბათს, 1 სექტემბერს, საღამოს 7 საათზედ, მუხრანის ქუჩაზედ გიორგი სხირტლაძესა და პეტრე ბაბროვს ჩხუბი მოუვიდათ. ბაბროვმა ჩხუბის დროს მუცელში დასჭრა სხირტლაძე. დაჭრილი საავადმყოფოში გაჰგზავნეს. ამავე დღეს, საღამოს 6 საათზედ, ჩხუბის დროს შაქრო კარაგოზოვმა დასჭრა ბებუთით სიმონ კობაშვილი. დაჭრილი საავადმყოფოში გაგზავნეს.

# ქუთაისის ქრონიკა

✦ მისაღები ეგზამენები დასრულდა. მრავალი ახალგაზრდობა სკოლის გარეშე დარჩა. მარტო ქართულ გიმნაზიის მოსამზადებელ კლასის პირველ მოსამზადებელ განყოფილებაში 120 კაცს უთხრეს უარი უადგილობის გამო. გიმნაზიის ადმინისტრაცია ცდილობს როგორმე დააკმაყოფილოს მოთხოვნილება, მაგრამ რას იზამს, რომ გზა არა აქვს. რეალურ სასწავლებელში უარესი საქმე ხდება. სამასწავლებლო მთავრობის მოწერილობის თანახმად, პირველ კლასში 40 კაცის მეტი არ მიიღეს და ამის გამო ას ყმაწვილს, ეგზამენ დაჭერილს, უარი უთხრეს.

✦ გახშირებულმა წვიმებმა ლამის ხელი აალებინოს ხალხს ღვინის მოსავლეზე. ყურძენი, გარდა იმისა, რომ არ მწიფდება, წვიმისაგან ლპება და ძირს სცვივა. არც სიმინდსა რგებს გადამეტებული წვიმები. რაც არის, იმაზე მეტ ტაროს სიმინდი ვეღარ გაიკეთებს, ხოლო წვიმა გაკეთებულ ტაროს დამწიფებას უშლის.

# დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

**ფოთი.** ჭიათურიდან ჩამოვიდნენ ჭიათურის შავი ქვის ასოციაციის ბიუროს თავმჯდომარე და წევრები და იჯარით აიღეს პლატფორმები შავი ქვის საწყობებისთვის. მიზნად აქვთ ასოციაციის მადნის გატანა რუსეთსა და უცხოეთში.

# ხოლერა

**ვიატკა.** გუბერნია ხოლერის მხრივ საშიშად იქმნა გამოცხადებული.

**პეტერბურგი.** 1 სექტემბერს ნიჟნი-ნოვგოროდში ხოლერით ავად გახდა 8 კაცი, გარდაიცვალა 6; გუბერნიაში ავადაა 45 კაცი.

ასტრახანში ავად გახდა 20, გარდაიცვალა 13; ფორპოსტში ავად გახდა 6, გარდაიცვალა 2; მაზრებში ავად გახდა 31, გარდაიცვალა 16.

**ნიჟნი ნოვგოროდი.** ავად გახდა 10, გარდაიცვალა 7 კაცი.

**ასტრახანი.** ქალაქში ავად გახდა 41, გარდაიცვალა 20; ფორპოსტში ავად გახდა 7, გარდაიცვალა 1. მაზრაში ავად გახდა 8, გარდაიცვალა 9.

**სარატოვი.** გუბერნიაში სენის გაჩენიდან დღემდე ავად გახდა 531 კაცი, გარდაიცვალა 256.

**სიმბირსკი.** გემიდან ჩამოიყვანეს ერთი ხოლერიანი, რომელიც მაშინვე გარდაიცვალა. რიაზანის მაზრაში ავად გახდა 9, გარდაიცვალა 1.

**სამარა.** ქალაქში ავად გახდა 12, გუბერნიაში 2; გარდაიცვალა 4.

**ყაზანი.** ქალაქი ხოლერის მხრივ საშიშად იქმნა გამოცხადებული. ავად გახდა ორი კაცი.

**სამარა** ქალაქში ავადგახდა 19, გარდაიცვალა 3. გუბერნიაში ავად გახდა 6, გარდაიცვალა 17 კაცი.

# პროვინციის ცხოვრება

—:—

**ჭიათურა.** ჩვენებურ მრეწველთა დასახასიათებლად და აგრეთვე იმის გამოსარკვევად, თუ რამ გამოიწვია შავი ქვის ფასის დაწევა, მოგვყავს ცნობები საბჭოს ლონდონელი კორესპონდენტის წერილიდან: „გაძლიერებული მოთხოვნილება შავი ქვისა წარსულ ნახევარ წლის განმავლობაში, როგორც სჩანს, მცირდება. მყიდველნი მადანზე უარს ამბობენ და ცდას არჩევენ. ჩვენის ფიქრით, ამისი მიზეზი ის არის, რომ ამერიკულ ბაზარის მოთხოვნილება ფეროშანგანზე შემცირდა და იანვრიდან ფასმა 83 დოლარიდან 64-დის დაიწია ტონზე; ამის მიხედვით ინგლისშიაც დაიწია ფასმა“.

„კავკასიის მადანი, განსაკუთრებით ბერძენთაგან და სომეხთაგან გაყიდული ქინად 8 და $8^1/_2$ პენსად, მყიდველს არ ჩააბარეს, თუმცა იმავე პირებმა ახალ პირობებში გაყიდული მადანი პირნათლად ჩააბარეს მყიდველთ. ასეთი მოქმედება კავკასიელ მწარმოებლისა უმაყოფილებას, და ამიტომ უნდობლობას იწვევს მყიდველთა შორის და თანასწორ პირობებში კავკასიის მადნთან სხვას აძლევენ უპირატესობას. მყიდველთა სიტყვით, შავი ქვის მრეწველთა შორის კავკასიელებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ თავის ახირებულ ზნე-ჩვეულებით“...

აქ ამოწერილ სიტყვებს კომენტარიები არ ესაჭიროება. ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ ჩვენი მრეწველნი დაბალ ხარისხის მადნის გზავნით და სხვა სიყალბით ძირს უთხრიან ისეთ დარგს მრეწველობისას, რომელიც ათასობით ასაზრდოებს და სამუშაოს აძლევს გაჭირვებულ ხალხს.

# რუსეთი

—

**✦ სოც.-დემ. საქმე.** დღეს, 4 ენკენისთვეს პეტერბურგის საოლქო სამხედრო სასამართლოში ირჩევა საქმე სოც.-დემოკრატიულ პარტიის სამხედრო ორგანიზაციისა. მოსამართლეებად იქნებიან მხოლოდ გვარდიის აფიცრები. ბრალდებულთ დაიცავს ათამდე ვექილი ანდრონიკაშვილისა და სოკოლოვის მეთაურობით.

**✦ საინტერესო სტატისტიკა.** ოფიციალურ ცნობებით 1 იანვრიდან 1 აგვისტომდე, ე. ი. 212 დღის განმავლობაში რუსეთის პრესა ასე დაუსჯიათ: ალუძრავთ 400 ლიტერატურული საქმე, მოუსპიათ 600 გამოცემა, დაუპატიმრებიათ 300, სამართალში მიუციათ 400 რედაქტორი და გამომცემელი. სულ—760 რეპრესიული აქტი მომხდარა. 1905 წ. 17 ოქტომბრიდან 1907 წ. 1 აგვისტომდე პასუხის გებაში მიუციათ და დაუჯარიმებიათ 1007 რედაქტორი.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

(იასონ ასალოს ძე დოლიძის შესახებ) ისარის მე-157 ნომერში წავიკითხე იასონ ასალოს ძე დოლიძის წერილი, საიდანაც, სჩანს, რომ დოლიძე უსამართლოდ ბრალდებული ყოფილა საზოგადოების თვალში იმ ხარების გამო, რომელიც მე მივყიდე. აი საქმის ნამდვილი ვითარებ: დიდ მარხვაში დოლიძემ ჩემგან იყიდა ერთი უღელი წითელი ხარი 12 თუმნად. ნაყიდობა მივეცი დოლიძეს ჩემის ხელ მოწერით, აგრეთვე მოწმე კაცის თანადასწრებით. დიდათ ვწუხვარ, რომ აქამდე ვერ ვ ღვიარე გაზეთის საშუალებით დოლიძის სიმართლე და ამით ვერ ავხადე ის უსამართლო ბრალდება, რომელიც დაუდვიათ დოლიძისთვის.

თავ. **გაცია გელოვანი.**

მოწმე თავ. **ალექსი გელოვანი.**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**რ უ ს ე თ შ ი.**

1 სექტემბერი.

**ლოძი.** გაფიცვისა გამო დახურულ ზილბერშტეინის სართავ ფაბრიკაში მუშები მივიდნენ და გაცდენილ დროის ფული მოითხოვეს. ტელეფონი გაათუშეს, ფაბრიკის პატრონი საფეიქრო ოთახში მოამწყვდიეს და 6 საათის განმავლობაში დამწყვდეული ჰყავდათ. როცა შეატყეს ამითაც არა გამოვა-რაო, ესროლეს და ზილბერშტეინი მოჰკლეს.

**ბელოსტოკი.** ვიღაც უცნობებმა სროლა აუტეხეს მიმავალ პატრულს. პატრულმა სროლითვე უპასუხა და ერთი კაცი დასჭრა.

**ბელოზერსკი.** შარა გზაზე იპოვნეს მოკლულ ურიადნიკის გვამი.

**ჩერნიგოვი.** სტაროდუბის მაზრის სოფ. ლიშჩინაში ცეცხლმა გაანადგურა 58 სახლი და ხუთი გაულეწავი პურის ზვინი.

**კალუგა.** მედინის მაზრის სოფ. ლაგინოში დაიწვა 32 სახლი, 31 სარაია, 5 სათივე და 23 ბეღელი.

**ლოძი.** მოჰკლეს ერთი ახალგაზდა მუშა.

**ლოძი.** თავს დაესხნენ იულიუსის ქუჩაში მიმავალს იოსებ პრუსკის ფაბრიკის გამგეს. წაართვეს 500 მანეთი, რომელიც მუშებისათვის უნდა დაერიგებინათ.

**ეკატერინოდარი.** სადგურ აფინსკაიაში სამმა შეიარაღებულმა კაცმა ჟანდარმებს იარაღი აჰყარა, მერე შეიჭრნენ სადგურში, გაძარცვეს კასსა, სადგურის უფროსი და რამდენიმე მგზავრი.

**ჩერნიგოვი** სოფ. ვორობიოვის ბუდაში დაიწვა 25 სახლი.

**პლოცკი.** შეიპყრეს მებრძოლ ბრბოს მეთაური და 2 თანამოაზრე.

**პეტერბურგი.** დამტკიცდა ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრების მიერ შემუშავებული წეს-რიგი მცხოვრებთაგან გამოსაკრებ ვალის გადახდევინების შესახებ. გუბერნატორებს ცირკულიარი გაუგზავნეს, სადაც დაწვრილებით ახსნილია, თუ რა წესრიგით უნდა გადაახდევინონ მცხოვრებთ გამოსაკვებად დარიგებული ფული.

გადასახლების საქმის გამგეობამ ჩელიაბინსკიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: 29 აგვისტოს საღამოთი, როცა ჩელიაბინის გადასახლებულთ სადგურზე სესხს ურიგებდნენ, ათმა შეიარაღებულმა კაცმა სადგურს ალყა შემოარტყა. ხუთი ნიღაბ-ჩამოფარებული კაცი შიგ შევარდა, მოხელე მუდინს რევოლვერები მოუღერეს და 1600 მანეთი წაართვეს. მძარცველთა შესაპყრობად ზომებია მიღებული.

**ელისავეტგრადი.** საგლეხო ბანკმა დაამტკიცა გენერალ შებეკოს მემკვიდრეთა და ბარონ შტახელმის მამულების ლიკვიდაციის პროექტი. პირველი მამული 15,000 დესეტინაა, ხოლო მეორე 2760.

**ჩიტა.** 2 სექტემბერს დილით დასჭრეს როტმისტრი პოკროვსკი.

**ომსკი.** 1 სექტემბერს საღამოთი პეხენინის კანტორაში, როცა მუშებს ჯამაგირს ურიგებდნენ, შვიდი შეიარაღებული კაცი შეიჭრა, დასჭრეს მუშები და გაიტაცეს 6800 მანეთი. როცა გამოუდგნენ, მათ სროლა ასტეხეს. ბოქაულმა შეიპყრო სამი მათგანი, ერთი გიმნაზიელის ფორმაში იყო. დანარჩენები ფულიანად მიიმალნენ.

**ვარშავა.** 1 სექტემბერს რკინის გზის სადგურისკენ მიმავალს გრაფს ზამოისკის თავს დაეცა ვიღაც უცნობი ახალგაზდა კაცი და გაძარცვა მოუნდომა. გრაფმა რევოლვერით მოჰკლა უცნობი.

**ბელოსტოკი.** კაფედნი ქუჩაზე ექვსის ტყვიით მოჰკლეს დუშევსკი, ვეზერკის მაშინის სამხენებელ ქარხნის გამგე.

**ოდესსა.** 1 სექტემბერს მალდავანსკის მიდამოში მოჰკლეს უბნის ზედამხედველი; იმავე რაიონში დასჭრეს საიდუმლო პოლიციის აგენტი. რამდენიმე საეჭვო კაცი დააპატიმრეს.

**მოგილიოვი** 1 სექტემბერს 11 მძარცვი დაეცა ვლასოვის აგურხანას დობრუშის მახლობლად. ერთი დააპატიმრეს, დანარჩენებმა წინააღმდეგობის გაწევა დააპირეს და სროლა ასტეხეს, სამი შეიპყრეს. უპოვნეს ასაფეთქებელი მასალა, რევოლვერები წამალ-ტყვიით, ხანჯლები და აგურხანაში მოპარული სხვა და სხვა ნივთები.

**ტაშკენტი.** აღმოაჩინეს ყუმბარათა საწყობი და კარგად მოწყობილი ლაბორატორია.

**ბახმუტი.** ლებედიევის სადგურზე შეიპყრეს 3 კაცი. უპოვნეს ყუმბარა, ორი რევოლვერი და პატრონები.

**მოგილიოვი.** სოფ. კარპოვკაში გლეხებსა და სტრაჟნიკებს შუა შეტაკება მოხდა, რადგან გლეხებმა საქონელი ჯეჯილს შეუსიეს. დაიჭრა ურიადნიკი და რამდენიმე სტრაჟნიკი. ორი გლეხი მოჰკლეს მშვიდობიანობის აღსადგენად როტა ჯარის მოელიან გამოძიებას შეუდგნენ.

**ტამბოვი.** მძიმედ დასჭრეს რკინის გზის სახელოსნოს უფროსი ინჟინერი მიღნიკოვი და მისი მხლებელი რკინის გზის მოხელე.

**პეტერბურგი.** სამხედრო სასამართლომ სავლიევს და პატიუკს მიუსაჯა სიკვდილით დასჯა, ორს ათ ათი წლის კატორგა, ორს 4 წლის კატორგა, ორი კი გაამართლა. მათ ჰბრალდებოდათ 1906 წლის დეკემბერში მრავალი თავდასხმა, ოსტაში 2 უბნის ზედამხედველის, 2 პოლიციელის, „ოხრანნი“ განყოფილების აგენტის და მეეზოვის მოკვლა.

## უ ც ხ ო ე თ ი.

2 სექტემბერი.

**პარიზი.** შვიდს ანტიმილიტარისტს მიუსაჯეს საპატიმროში ჯდომა 15 თვიდან სამ წლამდე. იმათ ჯარის აღელვება ჰბრალდებათ.

**პარიზი.** «მატენ»-ს აუწყებენ მაზაგანიდან: აბდულ-აზიზის რაბოტაში წასვლის შემდეგ მულეი-გაფიდჰა უფრო მედგრად მოითხოვა იქ შენახული იარაღი. ევროპიელები შიშობენ, ვაი თუ სისხლის ღვრა მოხდესო. თუ რამე მოხდა, აქ მდგომი სამხედრო გემები წინააღმდეგობას ვერ გაუწევენ, რადგან ძალა არ შესწევთ. რაბოტაში სრული მშვიდობიანობაა.

**ლონდონი.** ნიუ-იორკელ გაზეთების ცნობით, ბილინჰემში მცხოვრებ იაპონელებს და ჩინელებს წინადადება მისცეს ქალაქიდან გავიდნენ. იაპონელებმა იარაღი აისხეს და განაცხადეს, წინააღმდეგობას გაუწევთ, თუ ვინმე ძალით გაძევება მოგვინდომაო.

ქალაქ სეტტში (შტატი ვაშინგტონი) დიდ მანიფესტაციას მოელიან აზიელთა წინააღმდეგ. ჩინელებ-ი და იაპონელები იარაღის სამზადისს შეუდგნენ.

**ტანჟერი.** მაუევის ტომმა გენერალ დრიუიდს დელეგაცია გამოუგზავნა და მორჩილება გამოუცხადა. დრიუიდმა მტრული განწყობილება დროებით შეაჩერა.

**თეირანი.** 31 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, გარდაიცვალა ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ სადრაზამად ნამყოფ 60 მუშიროდ-დოულე.

3 ოქტომბერი.

**ფერბახი** (ლოტარინგია). შუადღისას მერლენბახსკის მაღაროში ზვავი ჩამოწვა. ოთხი მუშა მოკვდა და სამი მძიმედ დაიჭრა.

**ზღამბოლი.** ზოგიერთ ადგილას პურის ნიხრის მომატებისა გამო მანიფესტაცია მოხდა. ერზერუმში გულმოსულმა ბრბომ მოჰკლა ორი პურის ვაჭარი.

რედაქტორ-გამომცემელი

**ე. ავალიშვილი.**


# განცხადებანი

**პ ი რ ვ ე ლ ი**

## კერძო პანსიონი

ქ. გორში, სამეფო ქუჩაზე, ლამბაროვის სახლში № 36. მომზადება ყმაწვილებისა ყველა სასწავლებლებისათვის და ვარჯიშობა რუსულ ენაში. კეთილ-სინიდისიერი მოვლა, პედაგოგიური თვალყური, მშობლებისათვის შეღავათიანი პირობები. (2—295—1)

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**დ ი ლ ი თ:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. და ვენერიული (სიფილისი).

**ფ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ზაზანაშვილი:** 10—11 ს. საზებ-ო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ავეტიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., ქირურგ. და საშარდე.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გელდიაშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ზ. ა. შჩერზინინა:** $1^1/_2$—2 საათამ. საზებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საზებიო.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი**

(150—ხალ.—144)

## სავაჭრო სკოლა

ივ. ზაქ. ტერ-სტეფანოვისა

(მთავრობის სასწავლებლის უფლებებით)

**იღებს მოწაფეებს.** სწავლის ფასი ნახევარ წელიწადში: ანბანის განყოფილებაში 20 მან. მოსამზად. კლასში—25 მან. 1-ლ კლასში—30 მან.

თხოვნების მიღება 1 სექტემბრიდან; ეგზამენები 10 სექტ., სწავლა 15 სექტ. (პირველ კლასში უეგზემენოდ მიიღებიან ისინი, ვისაც ორ კლასიანი სასწავლებელი აქვს გათავებული).

სავაჭრო სკოლაში სწავლა დამთავრებულნი სარგებლობენ ჩინის მიღების, პირად საპატიო მოქალაქის და სამხედრო ბეგარის გადახდის დროს შეღავათის უფლებებით

### საბუხჰალტრო კურსები

ორივე სქესისთვის. ფასი 45 მან. კურსში. ადრესი: კუკია, 1 თუმანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 13. (5—292—2)



1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.

## საქმიანი

თანამშრომელნი ორივე სქესისა.

სახლში სამუშაოსათვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ უგზავნით.

**პირველი კავკას. ამხანაგობა**

მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: **Тифлисъ, Верійскій спускъ д 15 и 5.** (100—71—59)

**წიგნის მაღაზია**

## „ნოვაია რეჩ“

(ახალი სიტყვა)

გოლოვინის პროსპექტი, სახაზინო თეატრის პირდაპირ.

მიღებულია სახელმძღვანელოები

კავკასიის სამოსწავლო ოლქის ყველა სასწავლებლებისათვის.

**მასწავლებლებს სახელმძღვანელოები 10% ნაკლებ დაეთმობათ.**

10—9.

## გამოცდილი მასწავლებელი

ღებულობს საშუალო სასწავლებელთა უმცროს კლასებისათვის მოსამზადებლად ქალებსა და ვაჟებს. აქვე შეიძლება მოწაფეთა სრულს ხარჯზე მიღება და მათთან საღამოობით მეცადინეობა. ნახვა შეიძლება ყოველ დღე, ნაშუადღევის 4—8 საათამდე.

ადრესი: ყიფიანისა ქუჩა, სახლი № 26 მეორე სართულში, შესავალი ეზოდან. (3—281—2)

✦✦ პასუხს ვაგებთ საქონლის სიკარგისათვის! ✦✦



# კალოშებისა

**და სხვა რეზინის საქონლისათვის**

## უმაღლესი ჯილდო

(GRAHD-PRIX)

პარიზის გამოფენაზე მიესაჯა რუსეთში მხოლოდ „რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობას“,

რომელიც დაარსდა 1860 წელს.

სთხოვენ მუშტარს რეზინის კალოშების ყიდვის დროს ყურადღება მიაქციოს ბეჭედს ძირზე, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვა „ს.-პეტერბურგს“, რომელიც წითლად არის შემოვლებული.

ნარდად საქონლის ვაჭრობა ხდება

სავაჭრო სახლში

## ლეოპოლდ ნეიშელლერ.

პეტერბურგსა, მოსკოვსა, რიგასა, ოდესსა, ეკატერინბურგსა

## ტფილისში,

დონის როსტოვსა, ხარკოვსა, ირკუტსკსა, კიევსა და ტაშკენტში.

აქვე ნარდად იყიდება **ფეხსაცმელი** პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა.

იქვეა საწყობი რუსეთისა და საზღვარ-გარეთელ ტყავისა. (100—57)


სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.